ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ61. 6122336001**
თარიღი:**02/12/2022**

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 36-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის, „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემრბის №21 დადგენილების შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი აკაკი ქვათელაძე.

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს: საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საქართველოში მოქმედი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. დაწესებულების თანამშრომლები ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ პასუხისმგებელ პირს ინფორმაციის დამუშავებაში, მათი ფუნქციის (სამუშაოთა აღწერილობა) შესაბამისად, თუ დასამუშავებელი ინფორმაცია სცილდება პასუხისმგებელი პირის სპეციალიზაციის სფეროს.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. №1).

ვალერ ბახტაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/